პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 28 (823) კვირა, 9 ივლისი, 1950 წ. ფასი 1 მან.

პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

# არქიტექტურული მემკვიდრეობის ათვისებისათვის

საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა მოეწყოს კავშირის ცალკეული წევრების ნამუშევართა შემოქმედებითი განხილვა და ხელი შეეწყოს საპროექტო სახელოსნოების ნამუშევართა საზოგადოებრივ განხილვა-შეფასებას.

ამ ამოცანის განსახორციელებლად არქიტექტორთა კავშირმა ახლახან მოაწყო ტრესტის „საქსახპროექტის" საპროექტო ნამუშევრების გამოფენა და შემდეგ მისი განხილვა. განხილვას რამდენიმე სხდომა მიეძღვნა.

მე შესაძლებლობა არ მქონია მონაწილეობა მიმეღო გამოფენაზე წარმოდგენილი მასალების განხილვაში. ეს შევძელი მხოლოდ დამეთვალიერებინა ხალხური შემოქმედების სახლის დარბაზსა და გალერეაში გამოფენილი მასალა. ის ხანმოკლე დრო, რომელიც პროექტების გაცნობას მოვანდომე, საშუალებას არ მაძლევს მთელი მოცულობით შევეხო იმ პროექტებს მაინც, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან, ასე თუ ისე, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ არქიტექტორის შთანაფიქრზე მთლიანად. მაგრამ, რადგან გამოფენილ პროექტებში მთავარი ყურადღება ფასადის გადაწყვეტის ჩვენებაზე იყო მიქცეული, ჩემი შენიშვნებიც ამას შეეხება.

ხელმძღვანელთა ცალკეული ჯგუფების მეთაურობით ან თვით ამ ჯგუფების მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, მკაფიოდ ემჩნევა ერთი საერთო მისწრაფება—წინ წამოსწიოს ისტორიული მემკვიდრეობის პრაქტიკული გამოყენების საკითხი.

არქიტექტურული მემკვიდრეობის ათვისება საბჭოთა არქიტექტორების შემოქმედების საპრობლემო საკითხია. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი არქიტექტურის შემდგომი აღმავლობა.

მრავალსართულიანი ან დიდი ორსართულიანი შენობების ფასადებზე, მოცულობათა მიხედვით, ჩვეულებრივ წინ წამოწეულია გვერდის რომელიმე ნაწილები ან შეღრმავებულია ფასადის ესა თუ ის ადგილი, თანაც რამდენიმე სართულის სიმაღლეზე ფასადის ცალკეული ადგილები საერთო თაღით ან მთელი თაღედითაა შეკრული. მაგრამ არც ერთი ამ ხერხთაგანი არ იძლევა მთლიან შემაკავშირებელ კომპოზიციას. ავარის კლუბს (400 კაცისათვის) აქვს მეწეული შუა ნაწილი, რომელიც დამუშავებულია ხუთი თაღით მთელს სიმაღლეზე. შემდეგ, გვერდებზე მოსდევს შვერილები დამოუკიდებელი თაღებით, რომლებიც ერთიანად კვრავენ ორივე სართულს; ამის შემდეგ, შენობის კუთხემდე კვლავ შეღრმავებული ნაწილია, გლუვი და ერთნახევარჯერ უფრო განიერი, ვიდრე მეზობელი შვერილებია. შეღრმავებულ შუა ნაწილს აქვს პატარა აივნები კარებით; ყველაფერი ეს შემკულია ჩუქურთმებით, რომლებიც ან ძველებური ხალიჩების, ან ჰედური მოტივების შთაბეჭდილებას სტოვებენ. მეორე ორსართულიანი სახლის პროექტი—გორის საბავშვო სახლი, გვაძლევს ურთიერთ შეუკავშირებელი ელემენტებით სრულიად დაქუცმაცებულ ფასადს, რომელსაც ცენტრში მთელ სიმაღლეზე ხუთი თაღი აქვს. ფანჯრების ფორმა და შემკულობა ყოველ სართულზე სხვადასხვანაირია.

ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტშიაც (თბილისში, მარის ქუჩაზე) გამოსავალი წერტილი აშკარად ფასადია, რომელსაც სამ სართულზე ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი კარ-სარკმელი აქვს. ამასთან, ზედა სართულზე შუა ცხრა ხვრელობი (კარ-სარკმელი) შეერთებულია გადმოშვერილი თაღედით, რომლის სვეტები ეყრდნობა ხუთი პატარა აივნის გარეკუთხეებს. ეს აივნები თითო სარკმელ გამოშვებითაა გაცთებული, ე. ი. თაღედი ხან სახურავის როლს ასრულებს, ხან კი უმიზნოდ ჰკიდია ჰაერში. მესამე სართულზეც იგივე ხუთი პატარა აივანია. მაგრამ ისინი სხვაგვარად არიან განაწილებულნი: სამი მათგანი ცენტრშია—ზედა აივნების ჩამოსწვრივ, ხოლო გვერდის აივნები—კუთხიდან მესამე ხვრელობის წინაა. იმავე დროს, ყველა ამ აივნის კარი მეტისმეტად განიერი მოჩუქურთმებული არშიებითაა შემკული. დასასრულ, ქვედა სართულსაც, სადაც დარბაზებია გათვალისწინებული, ცენტრში აქვს ორმაგი გასასვლელი, რომელიც აგრეთვე უხვადაა მოკაზმული ორნამენტებით.

მეორე ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლს თბილისში (პლეხანოვის პრ. № 59) პირველ სართულში შეღრმავებული შუა ნაწილი აქვს, ხოლო ზემო ორ სართულში—ოთხ-ოთხ ხვრელობიანი მონაკვეთი აივნებით.

ფასადის ყველა სარკმელს შემოვლებული აქვს ორნამენტული თაღი ან სწორკუთხედი, ხოლო კუთხიდან მეორე ფანჯრებს მესამე სართულში აქვთ პატარა აივნები განიერი ჩუქურთმიანი საპირეებით.

კიდევ უფრო ნაკლებ ლოგიკურია ძველი ქართული არქიტექტურის ცალკეული ელემენტების გამეორება თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის შენობაზე, რომელიც ახლა შენდება. შუა ნაწილი შესასვლელით, პატარა განაპირა ფრთებთან შედარებით, ოდნავ წინ წამოწეულია. შვერილის გლუვ გვერდით ნაწილებზე ვხვდებით ძველი ქართული არქიტექტურის ისეთი სპეციფიკური დეტალების ბრმა გამეორებას, როგორიცაა სამკუთხოვანი ნიშები, ესოდენ დამახასიათებელი გარკვეული საფეხურისა და გარკვეული ჯგუფის ისტორიული ძეგლებისათვის: იქ ეს ნიშები კონსტრუქციულად ყოველმხრივ გამართლებულია, თავის ადგილასაა, ლოგიკურად და ისტორიულად გასაგებია. მეტალურგიული ტექნიკუმის შენობაზე კი მისი განაპირა შვერილის კედლების მაღალ გლუვ ნაწილებში — ისინი გამოყენებული არიან მხოლოდ და მხოლოდ სამკაულებად. ნიშებს შორის გამოყოფილია ცოკოლის სვეტებიანი ნაწილი, რომელიც გათიშულია შვერილის დანარჩენი, სამი თაღით დანაწევრებული ნაწილისაგან. ასევე, მავალ იქვე დამთავრებული ამ შენობის ფრთებიც შემკული იქნება ცალკეული თაღედებით და, როგორც ჩანს, ორნამენტებითაც.

უკეთ არც ქუთაისის სომატიური საავადმყოფოს ფასადია გადაწყვეტილი. ამ შენობის ფასადზე, ორმაგფანჯრებს შუა მოქცეული კედლების დიდი სიბრტყეები აღჭურვილია ისევ და ისევ ზე-

[illegible]

მო სართულის მთლიანი ლოჯიის მოტივით. აივნებსა და კარებზე აქაც მიტყეპებულია ჩუქურთმები, ზოგი ბექა ოპიზარისეულ ანჩისხატიდან ნასესხები, ზოგი — ხალიჩისებრი. სწორედ ასევე, ქიათურა-პერევისის საბაგირო გზის ქვედა სადგურის შენობის პროექტზე მიტყეპებულია წიგნებიდან ამოღებული ან საქართველოს მუზეუმის ფასადის წაბაძულობით გაკეთებული დეტალები, რომლებიც მოკლებულია ლოგიკას და უპროპორციოა.

მაგრამ ფასადის შემკულობის ეს ხერხები, რომლებიც არ არიან მოტივირებული არც შენობის დანიშნულებით, არც მისი კომპოზიციით, გამოყენებული არიან, ქართული სტილის შენობების შექმნის მიზნით, „საქსახპროექტის“ პატარა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების პროექტებშიც. პროექტების ერთ ნაწილზე აღნიშნულია, რომ ეს საცხოვრებელი სახლები აღმოსავლეთ საქართველოსათვისაა. ყველა ისინი წარმოადგენენ დაქუცმაცებულ ფასადებს (ისევე, როგორც დიდ ობიექტებზე), მაგრამ აქაც მეორდება დეკორატიული თაღები, ლოჯიები, ორნამენტები რკინის მოაჯირებზედაც კი, და გარდა ამისა,—მათ აქვთ ხელოვნური ლიუნეტები თაღებით, კარნიზის ჰორიზონტალური ხაზიდან ამაღლებული ორი პატარა ფიქტიური კედელი — პატარა ფრონტონებით, რომელთაც, ალბათ, ორნამენტები უნდა გაუკეთდეს. ასევე თვითნებურად და დაუსაბუთებლად გაწყვეტილი ორნამენტების ნაკვეთებს ვხედებით შენობების კუთხეებზედაც.

კიდევ უფრო მეტი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ქართული სტილის საცხოვრებელი სახლის სახეს იძლეოდნენ რკინიგზელთა სახლების პროექტები. პროექტით ეს სახლები აგურისაგან უნდა აშენდეს. ხოლო მათი შესასვლელები მოჩარჩოებული იქნება, როგორც ჩანს, ჩამოსხმული ორნამენტული თაღებით. ფანჯრის დარაბებიც შემკულია ორნამენტებით. აგურის კედლის ქვედა სიბრტყეებსაც მიკრული აქვთ ორნამენტული სამკაულები.

მე შევეცადე, რაც შეიძლება მოკლედ, დამეხასიათებინა გამოფენაზე წარმოდგენილ პროექტებში ჩვენი ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის გამოყენების ხერხები. რას წარმოადგენენ ეს ხერხები არსებითად? ვუპასუხებ მოკლედ.

ეს ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება კი არ არის, არამედ ცალკეული ისტორიული გამოცემებიდან, მეტწილად, ეგრეწოდებული გამოყენებითი ხელოვნების ძეგლებიდან ამოკლეჯილი ორნამენტული არშიების უბრალო მექანიკური მიწებება ახალ შენობებზე. ამასთან, ეს ორნამენტები ხშირად კოლოსალურად გადიდებული და გაუმართლებლად შეწყვეტილნი არიან თავიანთ მდინარებაში.

გამოდის, რომ შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური არქიტექტურის შექმნის ლოზუნგი, რომელიც მოგვიწოდებს ვეძიოთ ჩვენი სოციალისტური წყობილებისა და ყოფის შესატყვისი გადაწყვეტა, ამ პროექტების ავტორებს სწორად არ ესმით. ისინი თავიანთ საქმეს ყოველთვის დაკვირვებით არ ეკიდებიან. მათ უბრალოდ, ბრმად გადმოაქვთ ძველი ქართული ხელოვნების ამა თუ იმ ძეგლიდან (სულ ერთია ხუროთმოძღვრული, ფერწერითი თუ საყოფაცხოვრებო ნივთია იგი) დეკორატიული ან ორნამენტული დეტალები. ყოველივე ამას მივყავართ გაუმართლებელ ეკლექტიზმამდე, სილამაზის ელემენტარული მოთხოვნების უხეშ დარღვევამდე.

ტყუილად კი არ იყო, რომ არქიტექტორმა ჟოლტოვსკიმ მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (№ 35, 1950 წ.) მკაფიოდ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა არქიტექტურის ამოცანას წარმოადგენს „აშენოს უფრო ეკონომიურად, უფრო იაფად და ლამაზად“, რომ „ნამდვილი ხუროთმოძღვრება—ეს არის ნათელი თემა, პროპორციული, მკაცრი ფორმა. ყველაფერი გამართლებული უნდა იყოს და არაფერი ზედმეტი!“.

ეს იმას ნიშნავს, რომ პროექტების გამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს შენობის წინაშე დასახული ფუნქციური ამოცანის გარკვეულობა, უკანასკნელ დეტალამდე მოფიქრებული გეგმა და, ყველა ამასთან დაკავშირებით, გარეგნული სახე, ფორმირება მასისა. გამოფენილ პროექტებში ეს გარკვევით ვერ დავინახეთ. პირიქით, იქ პროპორციები დამახინჯებული არის, ფორმები ან შემთხვევითია, ან უცნაური. ფასადებზე ბევრი რამ ზედმეტი და სრულიად გაუმართლებელია. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენო ხუროთმოძღვრების იმავე ბრწყინვალე ოსტატის—ჟოლტოვსკის სიტყვები, რომ ამჟამად მოსკოვში ფეხმოკიდებულია თეორია, თითქოს საცხოვრებელი სახლი აუცილებლად „გალამაზებული“ უნდა იქნას აივნებით, ერკერებით, ფანჯრის საპირეებით. თითქოს მხოლოდ ასეთი ელემენტები ახასიათებენ კარგ საცხოვრებელ სახლს.

საბჭოთა მეცნიერებამ, ამ 30 წლის მანძილზე, საფუძვლიანი კვლევაძიებითი მუშაობა გასწია ქართული ხელოვნების ძეგლების შესასწავლად, გამოარკვია მათი სავსებით ინდივიდუალური ნაციონალური სახე, ცხადყო მათი მხატვრული დასრულებულობა. მოსალოდნელი იყო, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ეს შესწავლილი და შეფასებული ძეგლები ერთგვარი შემოქმედებითი შეჯიბრების სურვილს აღძრავდნენ ჩვენი დროის არქიტექტორებში, იმ ეპოქის არქიტექტორებში, რომელიც თავისი გაქანებით უდიდეს შესაძლებლობას აძლევს ხელოვნების ყველა დარგის შემოქმედს. სამწუხაროდ, ქართულ არქიტექტურაში ამას ყოველთვის ვერ ვხედავთ. ზოგჯერ, ნაცვლად შეჯიბრებისა, ადგილი აქვს ამ ძეგლების ცალკეული ნაწილების მხოლოდ მექანიკურ გამეორებას.

ხუროთმოძღვართა ასეული თაობების უმდიდრესი გამოცდილება ცალკეულ შენობათა, კომპლექსურ ნაგებობათა, საქალაქო ანსამბლთა გადაწყვეტის დარგში „საქსახპროექტის“ გამოფენილ პროექტებში სათანადოდ ვერაა ათვისებული. მათ ავტორებს მეტწილად „ისტორიული ელემენტების“ მხოლოდ უბრალო პირი აქვთ გადმოღებული.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჭიროა ჩვენი საბჭოთა მეცნიერების მიერ მოპოვებული მიღწევები ღრმად დავნერგოთ იმ ახალგაზრდებში, რომლებიც ხუროთმოძღვრებას სწავლობენ, და იმ არქიტექტორებში, რომელთა გადამზადება მიმდინარეობს. ამასთან ეს უნდა ხდებოდეს არა ისე, რომ მათ უბრალოდ ვაწვდიდეთ გამოცემების სახით მზამზარეულ ნიმუშებს პირების გადმოსაღებად და წასაბაძავად, არამედ უნდა წარმოებდეს ცალკეული ნიმუშების საფუძვლიანი, გაღრმავებული მეცნიერული ანალიზი და ეს ანალიზი უნდა უკავშირდებოდეს არქიტექტურის ისტორიული განვითარების, იმ ეპოქების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესწავლას, რომელთაც ეს ნიმუშები ეკუთვნიან.